ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 12138/01
10/12/2019

12138-01-2-201912100904

შპს „ეისიი მეტალს“

მის: ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი N42

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 29 ნოემბრის N17182 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ში სორტული ნაგლინის წარმოების ქარხნის (ლითონის ცხლად დამუშავება) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის და ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას, კერძოდ:

- წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოპინგის ანგარიშში ასახული მანძილი უახლოეს მოსახლემდე არ შეესაბამება რეალობას,რაც ამავდროულად მითითებული იყო სამინისტროს მიერ კონკრეტულ საქმიანობაზე გაცემულ სკრინინგის გადაწყვეტილებაში, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამრეწველო ზონაში, სკოპინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ მიმდებარე ობიექტების გათვალისწინებით;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია საიდან განხორციელდება საწარმოსთვის საჭირო ნედლეულის ტრანსპორტირება (შესაბამისი მარშრუტი);
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის აღწერილი ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული თითოეული დანადგარი;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატივები არ არის გარემოსდაცვითი თვალსაზრისით დასაბუთებული, ამასთან განხილული არ არის არაქმედების ალტერნატივა;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სათანადოდ არ არის შეფასებული ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, კერძოდ არ არის მოცემული ინფორმაცია გაფრქვევის პარამეტრების შესახებ (აირჰაეროვანი ნარევის სიჩქარე, მოცულობითი სიჩქარე, ტემპერატურა, გაფრქვეული ნივთიერებები, ასევე გაფრქვევის წყაროს სიმაღლე და დიამეტრი);
- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული წყლის ჩაკეტილი სისტემის შესახებ;

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

- განცხადებით წარმოდგენილ თავში „6.2 ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე“ მითითებულია ქსოვილოვანი, სახელოიანი ფილტრი თუმცა აღნიშნულ სკოპინგის ანგარიშში ფილტრთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ არის მოცემული;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული ინფორმაცია ხმაურის გავრცელებასა და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე. ამასთან განხილული არ არის შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

ყოველივე ზემოაღნიშნული ინფორმაცია, სკოპინგის ანგარიშში განხილული უნდა იყოს უახლოეს მოსახლემდე მანძილის გათვალისწინებით.

სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაიწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას მას შემდეგ, რაც შპს „ეისიი მეტალსი“ უზრუნველყოფს გადამუშავებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენას ყველა ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე